



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი

წევრები: დავით გუდაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: -----სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი-----

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: -----საჯარო სამართლის იურიდიული პირი-----

საიდენტიფიკაციო კოდი: -----[REDACTED]-----

სახე:

- ☒ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- ☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- ☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- ☒ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- ☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული პროგრამების ჩამონათვალი და შესაბამისი ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება ფართზე - ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #36.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი	24	13	4
მექატრონიკა	24	6	-
სამრეწველო ავტომატიზაცია	24	7	
მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი	24	12	4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2022 წლის 20 მაისის ბრძანების №521753 საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და "ე.ბ" კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება, რაც განპირობა, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადმა.

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 7 ივნისს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე), დარგის ექსპერტი - დავით გუღაძე.

ვიზიტის სამუშაო განრიგის შესახებ ინფორმაცია, ცენტრის მიერ, დაწესებულებისთვის წინასწარ იქნა მიწოდებული. ფართის ცვლილების შესახებ განაცხადზე თანდართული, ასევე ვიზიტამდე დაწესებულების ვებ-გვერდზე, პროფესიული პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული, მწირი ინფორმაციის გამო, დაწესებულებას წინასწარ ეცნობა დოკუმენტების ნუსხა, რომელიც ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომპონენტების შესაფასებლად ექსპერტებმა საჭიროდ მიიჩნიეს. დამატებით გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია პრაქტიკის ობიექტების შესახებაც. პრაქტიკის ობიექტებთან შეხვედრის ორგანიზების მიზნით, დაწესებულებას წინასწარ ეცნობა დარგის ექსპერტის მიერ შერჩეული პარტნიორების შესახებ ინფორმაცია.

პირველადი შეფასების შედეგად, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის“ განხორციელების ახალი ფართის (მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #36) პსდ-ების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, 5.1.1.(1), 5.1.2 (3) და 2.2.1(1) ინდიკატორებიდან მე-2 და მე-5 სტანდარტები შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, თუმცა, დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, გადმოგზავნილი იყო ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ღონისძიებების გეგმა, რომელთა შესრულების პერსიოდი განსაზღვრულია 6 თვით. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე ხარვეზები კვალიფიცირდა „მეტწილ შესაბამისობად“. მათ შორის 5.1.1 (1) და 2.2.1 (1) კომპონენტები. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება არგუმენტირებული პოზიციის წერილით იტყობინება, რომ 5.1.1 (1) და 2.2.1 (1) კომპონენტთან დაკავშირებით ხარვეზი აღმოფხვრილია, გადმოგზავნილი მტკიცებულებებით (მიღება-ჩაბარების აქტები, ფოტოები), რთულია მტკიცება, რომ კონკრეტულად ამ ობიექტისთვის მოხდა შესყიდული სკამების გადაცემა, რადგან დეპარტამენტის საგანმანათლებლო საქმიანობა სხვა ლოკაციებზეც ხორციელდება. გადმოგზავნილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიღება-ჩაბარების აქტი (#3055, 04.07.2022) გაფორმებულია, სტუ-ს ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის (ლოგისტიკის განყოფილება) და უწყვეტი განათლების და კარიერული განვითარების დეპარტამენტებს შორის (დეტალური აღწერა იხ. ინდიკატორთან). აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, დამაზუსტებელი დამატებითი დოკუმენტის (მტკიცებულების) წარმოდგენამდე, ექსპერტთა გადაწყვეტილებით, შეფასება დარჩა - „მეტწილი“.

წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია ექსპერტების მიერ შესწავლილი არ ყოფილა. თუმცა, არგუმენტირების წერილში დაწებულების პოზიციას განმავითარებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, დავძენთ, რომ დაწესებულების მიერ კორესპონდენციაში მოყვანილი დებულებები და პროცედურები ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა. განვითარების რეკომენდაციები ეხებოდა პროცესების/პროცედურების გაუმჯობესებას, პროფესიული განათლების სპეციფიკისა და დაწესებულების კონკრეტული მიდგომების ასახვას, პროცესების ყველა ეტაპის აღწერას/დეტალიზებას. გაცემული რეკომენდაციის მიზანშეწონილობა, ექსპერტებს კვლავაც აქტუალურად მიგვაჩნია, რიგი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მაგ.: IT ინფრასტრუქტურისა და საერთო სარგებლობის გამოყენების სივრცეები (აღნიშნული სივრცეები ექსპერტთა ვიზიტისთვის არ იყო მოწყობილი), დაწესებულების დოკუმენტაციაში ზოგადი შინაარსის დებულებებია, არ იკვეთება რა პროცედურაა გასავლელი, მაგ. ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტით ან/და ტექნიკით სარგებლობის პროცედურები (ვის უნდა მიმართონ, რა სახით, რა უფლებები/შეზღუდვები ექნებათ სტუდენტებს და ა.შ.), ასევე შენობა-ნაგებობის მდგრადობის მონიტორინგი. შენობის შეფასება განხორციელდა რეკონსტრუქციის პერიოდში და გაცემული დასკვნა უფრო პოზიტიური მოლოდინი, ვარაუდია ვიდრე მტკიცებულებითი მოსაზრება, შესაბამისად მდგრადობის მონიტორინგი რეკონსტრუქციის დასრულების შემდგომ სავალდებულოა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
1.1) პსდ-ს მისია	-	-
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	-	-
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	-	-
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	-	-
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	-	-
4.2) პერსონალის განვითარება	-	-
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	-	მეტწილად შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	-	შესაბამისია
5.3) ფინანსური რესურსები	-	-

დაწესებულება პსდ-ის ავტორიზაციის მე-5 სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)

წარმოებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები წინა ვიზიტის დასკვნაში არ არის დაფიქსირებული.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

IX. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 2.

2.2.1. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

(1) - დაწესებულებამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ახალ ფართში (ადგილზე), უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსი (სკამები).

აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით, დაწესებულებამ ასევე უზრუნველყოს, მატერიალური რესურსის ფლობის (გადაცემის) დოკუმენტაციაში, პროგრამის განხორციელების კონკრეტული ლოკაციის მითითება.

სტანდარტი 5.

5.1.1. პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

(1) შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით (საჭირო რაოდენობის სკამებით).

5.1.2. პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

(1) შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში, უზრუნველყოფილი იქნეს უსაფრთხოების ზომების დაცვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(3) შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, უზრუნველყოფილი იქნეს დაწესებულებაში მოქმედი საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმების საკანონმდებლო და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა. საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების გეგმა შეთანხმდეს კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან.

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

მე-5 სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

სასურველია:

5.1.1.(2) - შემუშავდეს პროცედურა, რომლითაც განისაზღვრება დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის გამოყენების პირობები.

5.1.2.(1) - დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო კორპუსის ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგი/შეფასება.

5.2.1.(5) - საგანმანათლებლო-სასწავლო პროცესის გათვალისწინებით, დაწესებულებამ შეიმუშაოს პროცედურა, რომელიც აღწერს დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების კონკრეტულ პირობებსა და შეზღუდვებს.

5.2.2.(1) - დაწესებულების მიერ წარმოებული იქნას პერსონალის ელექტრონული პირადი საქმეები, რომლებიც დაკომპლექტდება სრულყოფილად, საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნების გათვალისწინებით.

5.2.3.(1) - დაწესებულებამ განათავსოს ვებ-გვერდზე მეტი ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

5.2.3.(4) სასურველია კატალოგი იყოს მეტად ინფორმაციული, მოიცავდეს დაწესებულების მისიას, ხედვას, ღირებულებებს. პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციას; საგანმანათლებლო პროგრამის, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების თავისებურებებს და სხვა. ასევე ტერმინი ECTS შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №120/ნ ბრძანებასთან „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“.

მე-2 სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

სასურველია:

2.2.1.(1) - დაწესებულებამ უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებების გაფორმება მინიმუმ ავტორიზაციის ვადით (ხელშეკრულების ვადები განსაზღვრულია 31.12.2022 წ.), ამასთან დაკონკრეტდეს უფლებები და პასუხისმგებლობები, მათ შორის საჭირო რესურსების, უსაფრთხოების შესახებ ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

2.2.1.(4) - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობის შემუშავება და პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნების ასახვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.(6) - დაწესებულებამ მოახდინოს შშმ და სსსმ პირთა კონკრეტული საჭიროებებისთვის სერვისების იდენტიფიცირება, რაც დაწესებულების მხრიდან იქნება შეთავაზებული (მაგ. მხედველობის დაქვეითების მქონე პირთათვის აუდიო ტექსტის ან გაზრდილი შრიფტით შეთავაზება და ა.შ.) და შესაბამისი დებულებები ასახოს შიდა რეგულაციაში.

2.4.2. (6) - დაწესებულებამ უზრუნველყოს, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით რისკების მართვა-განახლება, მათ შორის დამიწების ქსელის უსაფრთხოების ყოველწლიური ექსპერტიზა/მონიტორინგი.

2.4.2. (1) - სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, დაწესებულაზში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, დაკონკრეტდეს განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ დებულებები. წესში გაიწეროს გასაჩივრების, შედეგების გამოქვეყნება-ინფორმირების, შეფასების პროცესის ადმინისტრირების შესახებ დებულებები.

2.4.2.(2) - შეფასების ინსტრუმენტებში, უზრუნველყოფილი იქნეს ჩანაწერები, რომლითაც იდენტიფიცირდება პროფესიული სტუდენტის მიერ სწორად ან არასწორად შესრულებული დავალება/დავალებები. ასევე შეფასების ინსტრუმენტებზე უზრუნველყოფილი იქნეს შემფასებელი პირის ხელმოწერა.

დამატებით გამოვლენილი გარემოებები:

კორექტირდეს საგანმანათლებლო პროგრამის მე-13 პუნქტი, პროგრამის შემუშავების საფუძვლების შესახებ და ადაპტირდეს პროგრამის დანართებში (მოდულები) სარეკომენდაციო ჩანაწერები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ, საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რომელიც მის მფლობელობაშია. დაწესებულების მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მაღალი ძაბვის ელექტრიკოსი“ განხორციელების ადგილად, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (#01-05-04/33, 18.04.2022) განისაზღვრა მის სარგებლობაში არსებული სამეცნიერო სასწავლო და საწარმოო ცენტრი „ანალიზხელსაწყო“-ს ფართი (მისმართი: 0190 თბილისი, კახეთის გზატკეცილის #36, შენობა-ნაგებობის ფართით 7 513,5 კვ.მ, საკადასტრო კოდი 01.17.09.064.060, საერთო ფართი 27 538 კვ.მ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ფართზე მოწყობილია შემდეგი სივრცეები:

პირველი სართული:

- 4 C გარემო/დარგობრივი კაბინეტები: #103 ფართით 286 კვ.მ; #104 ფართით - 39,1 კვ.მ; #106 ფართით 99,2 კვ.მ; #108 ფართით 119, 2 მ;
- პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი (#107) - ფართით 23, 4 კვ.მ აღჭურვილი ფუნქციური დატვირთვის შესაბამისად (დამატებით იხ. ასევე 5.1.2.(2));
- დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების ოთახი (#101)
- ბიბლიოთეკა - საერთო ფართი 45 კვ.მ (დამატებით იხ. ასევე 5.1.1.(11));

მე-2 სართული :

- თეორიული სწავლების აუდიტორიები (#202, #205, #206, #208, #210, #211, #212) – საერთო ფართი 370,9 კვ.მ
- B გარემო (#204, #207) – 12-12 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო კაბინეტები აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით, როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე მოდულის განმახორციელებელი პირებისთვის.
- C გარემო/დარგობრივი კაბინეტი #203 ფართით 79,2 კვ.მ.

საერთო ჯამში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის განკუთვნილი სივრცის საერთო ფართია 622,7 კვ.მ. დარგობრივი კაბინეტები აღჭურვილია პროფესიული მოდულების შესაბამისი ტექნიკით, ინსტრუმენტებით და სიმულატორებით.

მე-3 სართული:

- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის/სამასწავლებლო - #305 ფართით 39,1 კვ.მ
- ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო კაბინეტები (#301, #302, #303, #307) საერთო ფართით 149,2 კვ.მ
- არქივისთვის სივრცე - #309 , ფართით 18.3 კვ.მ

დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლის განცხადებით, პროფესიული სტუდენტებისთვის რეკრეაციული სივრცეების მოსაწყობად, გამოყოფილია პირველ და მეორე სართულებზე (საერთო ფართი 110.9 კვ.მ) ადგილები. რეკრეაციული და სპორტული ღონისძიებებისთვის გამოყოფილია სივრცე საწავლო ცენტრის ეზოშიც.

სამივე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძები, ქალებისთვის და მამაკაცებისთვის ცალ-ცალკე, მათ შორის ადაპტირებული სანიტარული კვანძები შშმ პირებისთვის. შენობაში მოწყობილია ლიფტი, რომლითაც შესაძლებელია წვდომა შენობის სამივე სართულზე. შშმ პირებისთვის შენობაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესისთვის გამოყოფილია 4 ერთეული პროექტორი, კომპიუტერული ტექნიკა პერსონალის, მათ შორის მასწავლებლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის (25 ც. ნოუთბუქი და 41 ერთეული პერსონალური კომპიუტერი; სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები: #05-03/515-2018, 01.11.2018 და #74-2015, 26.03.2015). სასწავლო და სამუშაო კაბინეტებში განთავსებულია საოფისე/სასწავლო ავეჯი (მაგიდა ერთი ტუმბოთი - 20 ც.; სამუშაო მაგიდა 80ც.; ტუმბო საკეტი - 5ც.; დაბალი კარადა - 5 ც.; კარადა მინის კარით - 3 ც.; კომბინირებული კარადა 20ც.; გასახდელი კარადა - 3 ც.). ვიზიტის ეტაპისთვის დაწესებულებას არ ჰქონდა სასწავლო-სამუშაო პროცესისთვის საკმარისი რაოდენობის სკამები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სკამების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები. ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, კონსოლიდირებული შესყიდვის ხელშეკრულების პირობები, რომელიც გამოცხადებული იყო სკამების შესყიდვისთვის, დაირღვა შექმნილი გლობალური გარემოებებიდან გამომდინარე. აღნიშნულის შესახებ დაწესებულებამ აცნობა (05.05.2022) შესყიდვების სააგენტოს და ითხოვა ელექტრონული ტენდერის წესით შესყიდვის განხორციელება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია ობიექტზე, რომელზეც მიმდინარეობდა კონსოლიდირებული ტენდერი, ხელშეკრულება გაფორმებულიყო გამარჯვებულ მომწოდებელთან, უარის შემთხვევაში კი დაწესებულებას ნება დართო შესყიდვა განეხორციელებინა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულის საფუძველზე გაფორმებული იქნა ხელშეკრულება (#05-03/164-2022), რომლის საფუძველზე შპს „ნოვი სტილი ჯორჯია“-ს ვალდებულებად განისაზღვრა 300 ც. სკამი (საერთო ღირებულებით 28 500 ლ) დაწესებულებისთვის მიწოდება. ხელშეკრულების შესრულების მაქსიმალური ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის 1 სექტემბრი. ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ინდიკატორი ექსპერტების მიერ შეფასდა არა დამაკმაყოფილებლად.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა მატერიალური რესურსის (სკამების) შეძენის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, სასაქონლო ზედნადები და მიღება-ჩაბარების აქტი (04.07.2022), რომელსაც ხელს აწერენ: სტუ-ის ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი (ა.ჭ.) და შპს „ნოვი სტილი ჯორჯია“-ს დირექტორი (მ.შ.), ასევე აუდიტორიაში განთავსებული სკამების ფოტოსურათები.

დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა მიღება-ჩაბარების აქტი (#3055), რომელიც გაფორმებულია სტუ-ის ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის დეპარტამენტის ლოგისტიკის განყოფილების უფროსსა (ა.ჭ.) და უწყვეტი განათლების და კარიერული განვითარების დეპარტამენტს (ე.კ) შორის, ხოლო დოკუმენტს ხელს აწერენ, ერთი მხრივ, ლოგისტიკის განყოფილების უფროსი (ა.ჭ.) და მეორე მხრივ მატერიალური პასუხისმგებელი პირი (გ.მ.). დოკუმენტით ვერ ხდება იდენტიფიცირება, კონკრეტულად რომელი პროგრამის განხორციელებისთვის ან ლოკაციისთვის არის განკუთვნილი სკამები (სულ 100 ერთეული, საერთო თანხით 8 800 ლ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად დაწესებულების მიერ ასევე გადმოგზავნილია ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და პსდ-ების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის ღონისძიებების გეგმა, რომლის შესრულების პერიოდი შეადგენს 6 (ექვსი) თვეს. გეგმის ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს დაწესებულების მიერ, საქმიანობის უზრუნველყოფა შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით/სკამებით.

შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორის პირვანდელი შეფასება კვალიფიცირდა მეტწილი შესაბამისობით.

შესაბამისობის რეკომენდაცია:

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით (საჭირო რაოდენობის სკამებით).

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ვიზიტის დროს, ექსპერტებს არ ჰქონიათ შესაძლებლობა სტუდენტებთან გასაუბრებისა, რათა დამატებით მიეღოთ დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და რესურსებით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია.

რესურსებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ, დაწესებულების „ხარისხის შიდა მექანიზმების უზრუნველყოფის პროცედურის“ (პ.2.6.) თანახმად, სტუ ვალდებულია იღებს სტუდენტებს შესთავაზოს რესურსების და სტუდენტური მხარდაჭერის სერვისების ფართო სპექტრი. პროცედურის თანახმად ეს რესურსებია: ფიზიკური (ბიბლიოთეკა, სასწავლო რესურსები და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა) და ადამიანური კონსულტანტებისა და სხვა მრჩეველთა სახით, ამასთან, დაწესებულებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარდამჭერი სერვისების არსებობა და მათი ხელმისაწვდომობა. სასწავლო რესურსების, სტუდენტების მხარდაჭერის საშუალებებისა და სერვისების დაგეგმვის, განაწილებისა და უზრუნველყოფისას სტუ ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის (დასაქმებული და უცხოელი, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე) სტუდენტების საჭიროებებს. პერსონალის განმარტებით, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული სერვისების შესახებ. (იხ. ასევე 5.1.1.(1) ინდიკატორი, საერთო სივრცეების შესახებ აღწერა).

დაწესებულების მიერ, აღნიშნულ ინდიკატორთან წარმოდგენილი დოკუმენტები, არ მოიცავს აღწერას ინფრასტრუქტურით/რესურსებით სარგებლობის პირობებისა და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ინფორმაციას.

რეკომენდაცია: სასურველია, შემუშავდეს პროცედურა, რომლითაც განისაზღვრება დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის გამოყენების პირობები. ასევე IT ინფრასტრუქტურის გამოყენების მიზნობრიობა, კონკრეტული პირობები და შეზღუდვები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ამ მიზნით დაწესებულების კანცლერის ბრძანებით დანიშნულია შესაბამისი პირი (ბრძ.#05-04-11/308, 02.05.2022). სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა დასტურდება ასევე ფაქტობრივი მდგომარეობით.

4. დაწესებულების მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობაში არის ცენტრალური ელექტრო გათბობის სისტემა, რომელიც დაპროექტებული და დამონტაჟებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში; შენობა COVID-19 -ით გამოწვეული პანდემიის დროს გადაცემული იყო ჰოსპიტალური სექტორისთვის. გათბობის სისტემის ფუნქციონირება დასტურდება კომუნალური გადასახადის ქვითრებით.

კომუნალური მომსახურების, მათ შორის გათბობის სისტემის, გამართულ მუშაობასა და სწორ ექსპლოატაციაზე, ასევე გადასახადების დოკუმენტაციის მომზადება და სისტემის გამართული მუშაობისთვის ტექნიკური დოკუმენტაციის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სტუ-ის ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის დეპარტამენტი (დეპარტამენტის დებულება პუნქტები: 1.3-1.5.) .

დაწესებულების მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური ელექტრო გათბობის სისტემით.

5. კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტები: „შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა“ და „შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მოქმედების გეგმა“ (ბრძანება MES 6 20 0001061803 „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების შესახებ“ 03/11/2020). დოკუმენტებით განსაზღვრულია ვალდებულებები უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის შექმნის შესახებ, რომელიც ასევე მოიცავს რისკების იდენტიფიცირება-შეფასებას და მართვას.

დაწესებულებაში ასევე შექმნილია შრომის უსაფრთხოების სტრუქტურული ერთეული/დეპარტამენტი, რომლის მეშვეობითაც ხდება უნივერსიტეტში შრომის უსაფრთხოებთან დაკავშირებული საკითხების მართვა. ვიზიტის დროს ონლაინ გასუბრება შედგა აღნიშნული დეპარტამენტის პერსონალთან: შრომისა და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებთან.

შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე/კომპეტენციის დამდასტურებელი დოკუმენტი არ ყოფილა წარმოდგენილი, შესაბამისად ექსპერტთა მიერ ვერ მომხდა აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირის კომპეტენციის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. არ ყოფილა ასევე წარმოდგენილი პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების ინსტრუქტაჟის დამდასტურებელი დოკუმენტაცია და სასწავლო-სამუშაო გარემოში რისკების მართვის ღონისძიებების გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პირველადი შეფასებით, დაწესებულებაში კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები არაადამაკმაყოფილებლად შეფასდა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობა გეგმით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების მექანიზმები, ამასთან დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი იქნა უკვე შესრულებული აქტივობების დამდასტურებელი დოკუმენტაცია : აღნიშნულ მისამართზე არსებული ობიექტისა და საგანმანათლებლო პროგრამებისთვის რისკების შეფასებისა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების გეგმა; პერსონალისა და სტუდენტების ინსტრუქტაჟის ჩატარების მასალები და შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის კომპეტენციის დამდასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა როგორც - შესაბამისი.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. სასწავლო პროცესის/მეცადინეობისთვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი/სამსახური, რომელიც სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოფს შესყიდვების სამსახურის ინფორმირებას, ხოლო შესყიდვების სამსახური თავის მხრივ, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით ახორციელებს შესყიდვებს/სასწავლო პროცესის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას. აღნიშნული პრაქტიკა, გასაუბრებისას ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და განმახორციელებელი პირების მიერ ასევე დადასტურებული იქნა.
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. რესურსების შეფასება ხორციელდება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ასევე დაწესებულებაში შექმნილი მუდმივმოქმედი შიდა მონიტორინგის კომისიის მიერ (სტუ-ის რექტორის ბრძანება 01-09-10/91, 30.07.2020), მატერიალური რესურსის შეფასება ასევე ხორციელდება ყოველი წლის ბოლოს, ინვენტარიზაციის ჯგუფის მიერ. მონიტორინგის შედეგები ოქმდება და ეგზავნება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ან/და დეკანატს შემდგომი რეაგირების/ღონისძიებების გატარების მიზნით.
8. დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება, ვენტილაცია, ასევე კონდიციონერებისა და გათბობის სისტემა. სანიტარული კვანძებში გამოყოფილია შმმპ-თვის დამოუკიდებელი, ადაპტირებული სივრცეები. სანიტარული კვანძების ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას.
9. გამოყოფილ ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. ბუნებრივი და ხელოვნური განათება უზრუნველყოფილია ადმინისტრაციის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეებშიც. ორივე ტიპის განათების შესაძლებლობაა სივრცეებში, სადაც დაწესებულება გეგმავს სტუდენტებისთვის რეკრეაციულ და ჯგუფური მუშაობისთვის გარემოს მოწყობას.
10. დამზარე და სასწავლო სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. დაწესებულებაში არაა ერთმანეთში გამავალი ოთახები. აუდიტორიები და სამუშაო სივრცეები განლაგებულია კორიდორული სისტემის სასწავლო სივრცეები არის ნათელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და კომფორტული (სამუშაო ადგილების/მოწყობილობების რაოდენობის შესაბამისი ფართის გათვალისწინებით). საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გამოყოფილია საერთო სარგებლობის აუდიტორიები, B და C (საერთო პროფესიული მოდულებისთვის) გარემო, ხოლო თეორიული კომპონენტი ხორციელდება ყველა პროგრამისთვის ინდივიდუალურად გამოყოფილ A გარემოში. სასწავლო აუდიტორიებში, პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილ დასვენების სივრცეებში შესვლა შესაძლებელია შეზღუდვების გარეშე.

11. **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.** დაწესებულების მიერ, ახალ სასწავლო ფართში (სასწავლო ცენტრში) მოწყობილია ბიბლიოთეკა, რომელიც სტუ-ის „ბიბლიოთეკის დებულებისა“ და სხვა შიდა რეგულაციების თანახმად, წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის ფილიალს. ბიბლიოთეკის რეგულაციების თანახმად, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მათთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადით, შეუზღუდავად ეძლევათ უფლება ისარგებლონ საბიბლიოთეკო მომსახურებით და წიგნადი ფონდით, მათ შორის, ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით.

სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკა მოწყობილია 20 მკითხველისთვის და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი (ბიბლიოთეკარისა და მკითხველისთვის), კომბიანი). ვიზიტის პერიოდში, ფილიალში წარმოდგენილი იყო 40 ერთეული, საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული წიგნი/სახელმძღვანელო (მიღება-ჩაბარების აქტი 03.06.2022). ბიბლიოთეკარის განმარტებით, დებულების თანახმად, ყველა რეგისტრირებულ მომხმარებელს შეუზღუდავი წვდომა აქვს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთანაც, გარდა ამისა, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელრესურსი. საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო რესურსი ასევე ჩატვირთულია და განთავსებულია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით დარგობრივ კაბინეტებში.

სასწავლო ცენტრში მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია დაწესებულების, მათ შორის ცენტრის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი. ამასთან, სტუ-ს ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა გაერთიანებულია საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციაში, რაც საშუალებას აძლევს მკითხველებს ისარგებლონ სხვადასხვა საერთაშორისო მონაცემთა ბაზებით.

დაწესებულების ვებ-გვერდზე გამოყოფილია ბიბლიოთეკისთვის ცალკე სივრცე/გვერდი, სადაც განთავსებულია:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალებით სარგებლობის წესი
- საბიბლიოთეკო კატალოგები (ანბანური (ქართული, უცხოური), დისერტაციების, ელექტრონული წიგნების, რარიტეტების, სალექციო მასალები/ლიტერატურა, ბიბლიოგრაფიული, სისტემატური, ტოპოგრაფიული, ჟურნალების
- ელექტრონული წიგნები/ციფრული ბიბლიოთეკა
- მონაცემთა ბაზები
- სიახლეები, მათ შორის, მიღებული ლიტერატურის/რესურსის შესახებ
- ინფორმაცია სამუშაო საათების შესახებ (რშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: დილის 10.00 საათიდან 17.00 საათამდე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების ბიბლიოთეკას აქვს ასევე საბიბლიოთეკო საძიებო ელექტრონული კატალოგი "KOHA". მკითხველს შეუძლია ვებგვერდიდან რეგისტრაცია და საბიბლიოთეკო მომსახურების მიღება ონლაინ.

ბიბლიოთეკის დებულება ასევე განთავსებულია სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკაშიც. სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის, მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ქონების ფლობის შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერი (მომზადების თარიღი 06/09/2021)
2. სტუ-ის არქიტექტურული დეპარტამენტის მიერ მომზადებული სკც „ანალიზხელსაწყოს“ არქიტექტურული გეგმარების ნახაზი.
3. ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის დეპარტამენტის დებულება (სტუ-ს აკადემიური საბჭოს და სენატის 2021 წ. 30 ივნისის ერთობლივი დადგენილება #01-05-17/06)
4. <https://gtu.ge/analytical-tools/page5.html>
5. <https://gtu.ge/Library> და განთავსებული კატალოგები
6. ბიბლიოთეკარის პირადი საქმე
7. წიგნების/სასწავლო რესურსის გადაცემის შესახებ მირება-ჩაბარების აქტი (03.06.2022)
8. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის და მისი ფილიალების დებულება.
9. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/33 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ“ (18.04.2022)
10. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შევსებული ფორმა „ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ“
11. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმოწერა საოფისე ავეჯის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 05-03/98-2022
12. ნოუტბუქების შესყიდვის სასაქონლო ზედდნადები და მიღება-ჩაბარების აქტი (02.11.2018)
13. ინფორმაციული ტექნოლოგიების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება 05-03/515-2018 (01.11.2018)
14. ხელშეკრულება კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის შესახებ #74-2015 (26.03.2015)
15. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 05-03/164-2022
16. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სსიპ სტუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/108, 17.04.2018)
17. სტუ-ის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების შიდა მონიტორინგის კომისიის სხდომის ოქმები (#1(1) 17.02.2022; 1(2) 18.02.2022; 1(3) 09.03.2022; #2(1) 26.04.2022; #2(2) 27.04.2022; #2(3) 29.04.2022; #3 25.05.2022)
18. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანება #05-04-11/308 დამლაგებლის მიღების შესახებ (02.05.2022)

18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

19. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანება MES 6 20 0001061803 „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების შესახებ“ (03/11/2020)
20. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები
21. მატერიალური რესურსის მიღების/შემენის დოკუმენტები (სასაქონლო ზედნადები ელ- 0676520483; მიღება ჩაბარების აქტები) და სასწავლო აუდიტორიების ფოტოები
22. შესაბამისობის გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვის მიზნით დაწესებულებაში შექმნილია სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის დეპარტამენტი, რომლის ერთეულებია: ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოებისა და ლოგისტიკის განყოფილებები. შემუშავებულია დეპარტამენტის დებულება (30.06.2021), რომლის თანახმად დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქციაა „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციების შემუშავება და შესრულების კონტროლი,“ (მუხლი 2, პუნქტი 1.13), ხოლო სახანძრო უსაფრთხოებაზე, მათ შორის, საევაკუაციო გეგმების შემუშავებაზე, პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოების განყოფილება (მუხლი 5, პ. „დ“).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ასევე სენატის დადგენილება #01-06-02/06 (14.02.2018) „დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმად სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, კონტროლსა და პერსონალის სწავლებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულს (განყოფილებას) (მუხლი 13). ამ დასახელებით, დაწესებულების სტრუქტურაში ერთეული არაა. არც 2021 წლის დოკუმენტი ითვალისწინებს დათქმას აღნიშნული დადგენილების გაუქმების ან სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაციის შესახებ.

სასწავლო ცენტრისთვის გამოყოფილი შენობის მთელ პერიმეტრზე მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, კვამლის აღმოჩენი დეტექტორები, საევაკუაციო გეგმები, საევაკუაციო გზის/გასასვლელების მანიშნებლები/მიმმართველები, სახანძრო ონკანები, დამუხტული ცეცხლმაქრები და ა.შ..

ობიექტი საგანგებო სიტუაციების მართვის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შემოწმებული იქნა 2021 წელს, რის საფუძველზეც გაცემული იქნა მიწერილობები (სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნიკური გადამზადების ცენტრის“ შენობა-ნაგებობის (მისამართი, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #36) დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგენილი მიწერილობა #561, #562, #563).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ, ზედამხედველობის სამსახურისთვის გაგზავნილია კორესპონდენცია (MES 7 22 0000132787 10.02.2022), რომლითაც სამსახურს აცნობებს მხოლოდ #561 მიწერილობით განსაზღვრული შეუსაბამოების აღმოფხვრის შესახებ. კორესპონდენციის თანახმად, მიუხედავად იმისა რომ, პანდემიის დროს ცენტრის მესამე სართული დათმობილი იყო საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ჰოსპიტალური სექტორისთვის, აღნიშნული მიწერილობის ფარგლებში ობიექტზე გატარდა შემდეგი ღონისძიებები: შენობაში დაკომპლექტდა სახანძრო ონკანები, დაემატა და გადაიმუხტა ცეცხლმაქრები, ელექტროგაყვანილობა/სადენები მოთავსდა კაბელ-არხებსა და სპეციალურ დამცავ ხუფებში, საევაკუაციო გზებზე დამონტაჟდა მანათობელი მანიშნებლები, დაწესებულებიდან გატანილი იქნა კუსტარული ელმოწყობილობები. სამსახურის მიერ, საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის ღონისძიებების შესრულების მაქსიმალურ ვადად, მიწერილობებში განსაზღვრულია 30.06.2022. დაწესებულების მიერ, არ ყოფილა წარმოდგენილი ინსპექციით გამოვლენილი დარღვენილი საკანონმდებლო მოთხოვნებთან შეუსაბამოების აღმოფხვრის ან ინდიკატორთან შესაბამისობის გეგმები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი #36 არსებული შენობა-ნეგებობების შესახებ ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა (ტომი II, 2018 წ.). დოკუმენტის თანახმად, კვლევის პერიოდისთვის, საწარმოო კორპუსის რეკონსტრუქცია დასრულებული, ხოლო სასწავლო კორპუსისა (ფაქტორივად, რომელსაც საგანმანათლებლო საქმიანობისთვის იყენებს დაწესებულება) დასკვნით ფაზაში იყო. შემოწმების შედეგად საექსპერტო ჯგუფის მიერ გაკეთდა დასკვნა, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი #36 მდებარე ნაგებობებში სრულყოფილად იქნება უზრუნველყოფილი უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობები. ფაკულტეტის საექსპერტო ჯგუფის მიერ ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით შეფასებულია, როგორც დამაკმაყოფილებელი. დაწესებულების მიერ, არ ყოფილა შენობის რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ საექსპერტო ჯგუფის მონიტორინგისა და ტექნიკური მდგომარეობის გადამოწმების ამსახველი დოკუმენტი/ჩანაწერები. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნულ მისამართზე სასწავლო კორპუსის ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგი/შეფასება.

ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით და მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შეუსაბამოების აღმოფხვრის ან ვიზიტის პერიოდისთვის კონკრეტულ ინდიკატორთან შესაბამისობის გეგმების არ არსებობის გამო, პირვანდელი შეფასებით ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმისა და აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებული დაგეგმილი ღონისძიებებისა და შესრულების ვადების (3 თვე) გათვალისწინებით, შეფასება კვალიფიცირდა როგორც „მეწილი შესაბამისობა“.

შესაბამისობის რეკომენდაცია:

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში, უზრუნველყოფილი იქნეს უსაფრთხოების ზომების დაცვა:

- დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. ამ მიზნით გამოყოფილია კაბინეტი, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით (სამედიცინო ტახტი, პერსონალის სამუშაო მაგიდა, მედიკამენტებისთვის კარადა), სველი წერტილით (ონკანი, ნიჟარა) და პირველადი დახმარების საშუალებებით. შენობაში, ყველგან, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი (112).

სამედიცინო მომსახურების მიზნით უნივერსიტეტის პოლიკლინიკიდან გამოყოფილია კვალიფიციური პირები (ექიმი და მედდა). პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ასევე უნივერსიტეტის პოლიკლინიკის სერვისები (სტუ-ის პოლიკლინიკის დებულება პუნქტები: 2.2. - 2.5.).

3. საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმების მოქმედების მტკიცებულებად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანების „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების შესახებ“ (MES 6 20 0001061803 , 03/11/2020) დანართი 2 „შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მოქმედების გეგმა“.
- წარმოდგენილი დოკუმენტი არ შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს, არაა შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან.

პირველადი შეფასებისა, აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, ხოლო არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, შეფასება კვალიფიცირდა როგორც „მეტწილი შესაბამისობა“.

შესაბამისობის რეკომენდაცია:

შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, უზრუნველყოფილი იქნეს დაწესებულებაში მოქმედი საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმების საკანონმდებლო და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა. საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების გეგმა შეთანხმდეს კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. ამ მიზნით შემუშავებულია დოკუმენტები ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის დეპარტამენტის (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს და სენატის 2021 წ. 30 ივნისის ერთობლივი დადგენილებით #01-05-17/06) და სენატის მიერ დამტკიცებული (დადგენილება #01-06-02/06, 14.02.2018) დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულებები, რომლებითაც აღწერილია დაწესებულებაში წესრიგის დაცვის მექანიზმები.

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გამოყოფილი ფართის ტერიტორიაზე დაშვება ხდება საშვთა სისტემით (დაცვის საგუშაგო), ასევე უზრუნველყოფილია საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით მთელ პერიმეტრზე ვიდეო კონტროლი, შესაბამისი გამაფრთხილებელი ინფორმაციით. აყვანილია დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პერსონალი, 9 პირი (3 პირი - საგუშაგოს პოზიციაზე, 6 - შიდა ტერიტორიის და სასწავლო ფართის კონტროლისთვის).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სამედიცინო კაბინეტის პერსონალის პირადი საქმეები
2. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანებები დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების პერსონალის მიღების შესახებ (#05-04-11/978 (03.12.2021); #05-04-11/1460 (15.11.2018))
3. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანება #05-04-11/213 დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების პერსონალის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ (01.04.2022)
4. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანება #05-04-11/308 დამლაგებლის მიღების შესახებ (02.05.2022)
5. ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის დეპარტამენტის დებულება (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს და სენატის 2021 წ. 30 ივნისის ერთობლივი დადგენილებით #01-05-17/06)
6. სენატის 2018 წლის 14 თებერვლის დადგენილება #01-06-02/06 დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დადგენილება
7. სტუ-ს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვის და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები
8. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის კორესპონდენცია დანართებითურთ (წერილი MIA 4 21 01710890 , 02.07.2021)
9. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიკლინიკის დებულება (სენატის დადგენილება #01-06-02/34, 03.04.2018)
10. სტუ-ის მფლობელობაში არსებული შენობა-ნეგებობების ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა (2018 წ.)
11. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების შესახებ“ (MES 6 20 0001061803 , 03/11/2020) დანართი 2.
12. შესაბამისობის/გაუმჯობესების გეგმა
13. შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება და პრევენციის ღონისძიებების გეგმა (09.06.2022)
14. პერსონალისა და სტუდენტების ისტრუქტირების ფურცლები
15. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის კომპეტენციის დამდასტურებელი დოკუმენტები

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, არსებული პარამეტრებითა და პროგრამული უზრუნველყოფით, შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. დაწესებულებას აქვს ერთიანი კომპიუტერული ქსელი, რომელიც ფარავს უნივერსიტეტის მთელ სივრცეს, ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ კორპუსს სხვადასხვა ლოკაციაზე (ჩართულია 4000-ზე მეტი ქსელური კვანძი).

სასწავლო ცენტრში, ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის, მფლობელობაში აქვს 66 კომპიუტერი. რომელთაგან 26 ერთეული განთავსებულია B გარემოში. კომპიუტერებით, სადემონსტრაციო საშუალებებით აღჭურვილია ყველა სასწავლო გარემო, ასევე ბიბლიოთეკა (იხ. ასევე 5.1.1.(11)) და პერსონალის სამუშაო სივრცეები.

დარგობრივი კაბინეტები აღჭურვილია კომპანია FESTO-ს სასწავლო სიმულატორებითა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. დაწესებულების მთელ პერიმეტრზე ხელმისაწვდომია ცენტრალიზებული როგორც უსადენო, ისე კაბელური ინტერნეტი, მოწყობილია ვიდეოკონტროლის სისტემა.

დაწესებულების მართვაში იყენებს კომპიუტერული ქსელის სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურას: სერვერული, კაბელური, უკაბელო, ღრუბლოვანი. აქვს ასევე IP ტელეფონია. სხვადასხვა ინფორმაციული უსაფრთხოების, ინციდენტების აღმოჩენის და რეაგირების ტექნოლოგიები და მონიტორინგის სისტემები. აღწერილი ინფრასტრუქტურა გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის საუნივერსიტეტო და ინტერნეტ კავშირის უზრუნველყოფის მიზნით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

როგორიცაა: ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული სწავლების სისტემა, ელექტრონული ტესტირების სისტემა, დოკუმენტბრუნვის და სხვა სერვისები. (იხ. ასევე 5.2.2.(2)).

2. **დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.** ამ მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს საერთაშორისო სტანდარტის (ISO 27002) მოთხოვნების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა.

პოლიტიკის მიზანია, სათანადო ინფრასტრუქტურის გამოყენებით, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ერთიანი პრინციპით მოქმედი, უსაფრთხო და ეფექტიანი ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ-დამხმარე სექტორებისთვის. დოკუმენტით განსაზღვრულია ქსელში ჩართვისა და გარედან წვდომის პროცედურები, შეფასებულია ასევე ინფორმაციულ ინფრასტრუქტურასთან, როგორც შიდა, ისე გარე საფრთხეებთან დაკავშირებული რისკები, მათი პრევენციისა და მართვის ღონისძიებები, ინფორმაციული უსაფრთხოების დამცავი მექანიზმები. კომპიუტერების დაინფიცირების თავიდან აცილების მიზნით, იყენებს ლიცენზირებულ, ეფექტურ ანტივირუსულ პროგრამებს.

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მასთან დაკავშირებული რისკების მართვას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი.

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.** დაწესებულებაში, მომსახურების პროცესების დიდი ნაწილის მართვა ავტომატიზებულია, რისთვისაც აქტიურად იყენებს დაწესებულებებს როგორც შიდა ისე გარე პორტალებსა და სისტემებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას ინფორმაციული უსაფრთხოება, მათ შორის პერსონალური მონაცემები. ამ მიზნით შემუშავებული აქვს საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით სტუდენტთა პერსონალური მონაცემების ავტომატურად დამუშავების წესი, რომლითაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის ელექტრონული სერვისების სისტემაში (vici.gtu.ge) სტუდენტთა პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავების და მონაცემთა ბაზის ადმინისტრირების წესები, პირობები, ასევე, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, მონაცემთა ბაზების წარმოებასა და წვდომაზე პირთა წრე, მასშტაბები.

განსაზღვრულია ასევე პერსონალური მონაცემების არქივაციის წესები, ფორმა და ვადა - მონაცემები არქივდება ელექტრონულად 75 წლის განმავლობაში. დაარქივებული მონაცემები ხელმისაწვდომი აღარ არის სისტემის მომხმარებლებისათვის, ხოლო საჭიროებისას წვდომის უფლებამოსილება განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის აქტით.

წესის თანახმად, სისტემის ადმინისტრირებაზე და მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზე, მის შენახვაზე, დაბლოკვაზე, წაშლა ან/და განადგურებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი (პ. 5.1.). მონაცემები მუშავდება შესაბამისი სამართლებრივი აქტით ან ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში, ხოლო მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლის, გაჟღავნების ან ნებისმიერი სხვა

25

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევით ან უკანონო დაკარგვისაგან (პ.6.2) ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. დეპარტამენტის წარმომადგენლის განმარტებით, აღრიცხვის პროცედურები ხორციელდება პროგრამულად, ცვლილებების განხორციელებასთან ავტომატურ რეჟიმში.

4. **დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.** ამ მიზნით სტუ-ს კომპიუტერულ ქსელში გამოყენებულია სხვადასხვა მონიტორინგის სისტემები (PRTG, DUDE, KIWI SYSLOG Server) და პროტოკოლები (snmp, Netflow, syslog), რომელთა მართვაც ცენტრალიზებულია. აღნიშნული სისტემების გამოყენებით სისტემატურად (24/7) ხორციელდება ინტერნეტის ლოკალური და გლობალური ტრაფიკის, აქტიური მომხმარებლების, მოთხოვნადი სერვისებისა და პროტოკოლების მონიტორინგი. ასევე ცენტრალიზებულად ხდება ქსელის მოწყობილობების მდგრადობის და სტაბილურად მუშაობის მუდმივი მონიტორინგი. სისტემაშივე ხდება ინციდენტების აღრიცხვა, რის შემდეგაც პერსონალის მიერ ხდება მისი ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
5. **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.** ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიზანია, კომპეტენციის ფარგლებში, სტუდენტებისა და პერსონალისთვის კომპიუტერულ სისტემებზე უწყვეტი დახმარებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით დეპარტამენტის ტექნიკური მხარდაჭერის განყოფილების ფუნქციაა კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელი და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, პერსონალისთვის და სტუდენტებისათვის კომპიუტერული ტექნიკისა და თანამედროვე პროგრამული საშუალებების ეფექტურად გამოყენების მიზნით, შესაბამისი კონსულტაციების გაწევა, საჭიროების შემთხვევაში მათთვის შესაბამისი ტრენინგების დაგეგმვა და ჩატარება. ადმინისტრაციის პერსონალის განმარტებით საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში B გარემოს /კომპიუტერული კლასების გარემოს დატვირთვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაბალია, შესაბამისად პროფესიული სტუდენტებს შეუზღუდავად აქვთ ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობა. ჯგუფური სამუშაოებისთვის არის ასევე განკუთვნილი სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკაც.

პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უწყვეტ რეჟიმში IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მიზნით, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტ კავშირი, პროვაიდერი შერჩეულია სახელმწიფოს შესყიდვის ხელშეკრულებით. დაწესებულების მიერ, წარმოდგენილია პროვაიდერთან გაფორმებული ბოლო 3 წლის მომსახურების შესყიდვის დამდასტურებელი დოკუმენტაცია.

თუმცა დაწესებულების სასწავლო პროცესისა და მატერიალური რესურსით სარგებლობის შესახებ პროცედურები/დებულებები არ მოიცავს კონკრეტულ მითითებებს ინფრასტრუქტურის გამოყენების შესახებ პირობებს.

რეკომენდაცია: საგანმანათლებლო-სასწავლო პროცესის გათვალისწინებით, დაწესებულებამ შეიმუშაოს ან არსებულ რეგულაციაში გაიწეროს დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების კონკრეტულ პირობები ან/და შეზღუდვები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი BGP-ს ავტონომიური სისტემა და IP მისამართები, რომლითაც უზრუნველყოფს ყველა ლოკაციის ჩართვას საკუთარ ქსელში. ასევე დაწესებულება აქტიურად იყენებს როგორც შიდა, ისე გარე ქსელებს. პერსონალისთვის გამოყოფილია კორპორატიული მეილები. დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაცია თავსდება ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში (იხ. ასევე 5.2.2.(2)). გარდა ამისა, შიდა საუნივერსიტეტო ელ. ფოსტების ბაზის გამოყენებით სტუდენტებს ეგზავნებათ ახალი ამბები ინტერესების მიხედვით. ასევე შექმნილია უნივერსიტეტის მობილური აპლიკაციები GTU App (IOS-სა და Android-ზე), რომელთა საშუალებით სტუდენტები იღებენ როგორც პირდაპირ შეტყობინებებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან, ლექტორებისგან, თვითმმართველობისგან, ისე ახალ ამბებს და შეუძლიათ ნახონ ვებ-გვერდზე განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მათ შორის აკადემიური მოსწრებისა მეცადინეობების ცხრილების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ სტუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულება (სენატის დადგენილება #01-06-02/34, 03.04.2018)
2. სსიპ სტუ-ის ინფორმაციის ტექნოლოგიის (IT) მართვის პოლიტიკა და პროცედურები (18.03.2018)
3. ხელშეკრულება #74-2015 კომპიუტერული ტექნიკის კონსოლიდირებული შესყიდვის (CON150000009) შესახებ (26.03.2015)
4. ხელშეკრულება #05-03/515-2018 კომპიუტერული ტექნიკის კონსოლიდირებული შესყიდვის (CON170000077) შესახებ (01.11.2018)
5. სსიპ სტუ-ის რექტორის ბრძანება MES 0 21 0001143490 „სტუდენტთა პერსონალური მონაცემების ავტომატურად დამუშავების წესის დამტკიცების თაობაზე“ (26/10/2021)
6. ხელშეკრულება ანტივირუსული პროგრამული პაკეტების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 05-03/265-2021
7. ხელშეკრულება ინტერნეტ მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 05-03/345-2021
8. მაიკროსოფტთან გაფორმებული ონლაინ სააბონენტო ხელშეკრულება (06/07/2022) და ინვოისები
9. google-ის ღია ხელსეკრულება (https://workspace.google.com/terms/education_terms_japan.html) და სისტემის ფლობის დამადასტურებელ ფოტო ასლი („სკრინშოტი“)
10. დაწესებულების ვებ-გვერდი და სოციალური ქსელები.
11. სტუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი (სტუ-ის რექტორის ბრძანება #29, 06.02.2018), რომლითაც განსაზღვრულია დოკუმენტბრუნვის (დოკუმენტების შედგენა, ეტაპები, მიღება-აღრიცხვა, დგზავნა, დამუშავება) და სამუშაო პროცესებში სრულყოფილი ერთეულები კოორდინაციის საკითხები. განსაზღვრულია ბკლანკის ტიპები, სახეები, გამოყენების წესები. საქმისწარმოების დოკუმენტი მოიცავს შიდა მმართველობითი დოკუმენტების (ბრძანება, ოქმი და სხვ.) შედგენის ინსტრუქციებს.

დოკუმენტით რეგულირდება ინფორმაციის გაცემის წესი. ასევე საქმეთა ფორმირების, ნომენკლატურის შედგენის, დოკუმენტების შემფასებელი კომისიის/ექსპერტიზისა და დოკუმენტების შენახვის წესები. დაწესებულების საქმისწარმოების წესი, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით შეთანხმებულია ეროვნულ არქივთან (30.01.2018 ოქმი #1).

დაწესებულების მხრიდან დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალები წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, აღნიშნული საკითხების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა ექსპერტების მიერ არ შეფასებულა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში საქმისწარმოება ფაქტობრივად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს, შესაბამისად, რეესტრებიც ელექტრონულ ფორმატშია, რომელთა ამობეჭდვაც საჭიროების შემთხვევაში ხდება.

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური რესურსის შეფასებისას გაიცა საკადრო საქმისწარმოებასთან მიმართებით რეკომენდაცია, წარმოებული იქნას პერსონალის ელექტრონული პირადი საქმეები, რომლებიც დაკომპლექტდება სრულყოფილად, საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნების გათვალისწინებით. (დამატებით იხ. ინდიკატორის აღწერა 2.2.1 (2)).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის (e-flow).** სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონული სერვისების სისტემას (vici.gtu.ge), რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის სერვერზე განთავსებულ ბაზას, სადაც აისახება მონაცემები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, როგორიცაა: სტუდენტის პერსონალური და ბიოგრაფიული მონაცემები, საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია (დასახელება, საფეხური, სწავლის საფასური), პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მიღწეული სწავლის შედეგების/შეფასების შეახებ ინფორმაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებისთვის იყენებს ლიცენზირებულ პროგრამებსა (საოფისე, ანტივირუსული და ა.შ.), ასევე „ZOOM“ პლატფორმის უწყვეტ საკონფერენციო კავშირს და ასევე ვებ-გვერდისა და სოციალურ ქსელების რესურსებს. (იხ. ასევე 5.2.1.(1)).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ასევე ონლაინ სააბონენტო ხელშეკრულებები და ინვოისები, რომელთა საფუძველზეც მართვასა და სასწავლო პროცესში იყენებს მაიკროსოფტის (პაკეტი მოიცავს: Office 365 a plus; Office 365 Power BI და სხვა პროდუქტები) და google-ის სერვისებს.

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.** ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების გვერდი. პერსონალის (ადმინისტრაციული, პროგრამების განმახორციელებელი პირები), პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დაწესებულების შესახებ ინფორმაცია სრულყოფილადაა შეყვანილი. შემოწმებული იქნა, ასევე პროფესიული სტუდენტების სტატუსთან (შეჩერება/შეწყვეტა), კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაციის/რეკვიზიტებისა და შესაბამისი დოკუმენტების სიზუსტე და ბაზაში სრულყოფილად ასახვა. შემოწმებით დადსტურდა მონაცემების სრულყოფილად და დროულად, კანონმდებლობით დადგენილი წესითა ასახვა საინფორმაციო სისტემაში.

დაწესებულების მიერ გამოყოფილია პირი, რომელიც პასუხისმგებელია მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემების დროულ ასახვაზე.

4. **დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს.** ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების მიერ მაკონტროლებელ უწყებასთან განხორციელებული უკუკავშირის შესახებ მტკიცებულებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით განხორციელებული ცვლილებები ეხება საგანმანათლებლო პროგრამებში კვალიფიკაციის ფორმულირებისა და სამოქალაქო განათლების მოდულთან დაკავშირებულ ცვლილებებს. დაწესებულების მიერ უკუკავშირი განხორციელებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი ანგარიშგების შესახებ კორესპონდენცია (MES 3 22 0000380535, 12/04/2022; MES 0 21 0000907123, 13/09/2021);
2. დაწესებულების პორტალი პროფესიული განათლების საინფორმაციო სისტემაში.
3. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შესახებ (#01-05-04/29 04/04.2022;
4. სტუ-ის რექტორის ბრძანება ბრძანება #29 „სტუ-ს საქმისწარმოების ერთიანი წესის და საქმეთა ნაერთი ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ“ (06.02.2018)
5. მაიკროსოფტთან გაფორმებული ონლაინ სააბონენტო ხელშეკრულება (06/07/2022) და ინვოისები
6. google-ის ღია ხელსეკრულება (https://workspace.google.com/terms/education_terms_japan.html) და სისტემის ფლობის დამადასტურებელ ფოტო ასლი („სკრინშოტი“)

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ამ მიზნით სტუ-ს შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის კომუნიკაციის სტრატეგია, რომლის ფარგლებში დადგენილია საკომუნიკაციო ჩარჩო. საკომუნიკაციო ჩარჩოს უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა უზრუნველყოს საქმიანობის გამჭვირვალობა და საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ხელი შეუწყოს დაწესებულების იმიჯის ამაღლებას.

ვებ გვერდზე განთავსებულია სამსახურების/ადმინისტრაციასთან საკომუნიკაციო ინფორმაცია, სტრუქტურული ერთეულების მიხედვით სიახლეები, გამოცემული ბრძანებები, სასწავლო ცხრილები და ა.შ. განთავსებულია ინსტრუქციები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისების/პორტალების გამოყენების შესახებ.

ვებ-გვერდიდან შესაძლებელია კავშირი ადმინისტრაციასთან/ფაკულტეტებთან აქვს საძიებო სისტემა. სტუდენტებისთვის გამოყოფილია ცალკე სივრცე, სადაც თავსდება ინფორმაცია სტუდენტის მიღწევებისა და სასწავლო პროცესის შესახებ. ვებ-გვერდზე ცალკე რუბრიკაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, სადაც განთავსებულია პროფესიული განათლების შესახებ შიდა რეგულაციები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. განთავსებული ინფორმაცია მწირია.

ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ვებ გვერდის განახლება.

რეკომენდაცია:

სასურველია დაწესებულებამ მეტი ინფორმაცია განათავსოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პორტალებში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

2. დაწესებულების წესდების თანახმად (მუხლი 2), მისი საქმიანობის მიზნები მოიცავს როგორც ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეებში, ასევე თანამშრომლობას სხვადასხვა უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევების განხორციელებას. **დაწესებულების აქვს ორენოვანი ვებ-გვერდი** - ქართულ და ინგლისურ ენებზე, შესაბამისად, დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზეც.
3. **დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.** უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს საზოგადოებას მაქსიმალურად მიაწოდოს ინფორმაცია უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო მიღწევებზე, დაგეგმილ თუ განხორციელებულ საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებზე. (იხ. ასევე 5.2.3 (1)).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. კატალოგი წარმოდგენილია ფაკულტეტების მიხედვით და მოიცავს სტანდარტულ ინფორმაციას თითოეული პროგრამის ფარგლებში: პროგრამის მოცულობა განსაზღვრული კრედიტებით (ECTS), მისანიჭებელი კვალფიკაცია, სწავლების ენა, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, შეფასების წესი, საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია და პროგრამის განხორციელების ადგილი.

რეკომენდაცია:

სასურველია კატალოგი იყო მეტად ინფორმაციული, მოიცავდეს დაწესებულების მისიას, ხედვას, ღირებულებებს, პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციას; საგანმანათლებლო პროგრამის, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების თავისებურებებს და სხვა. ასევე ტერმინი ECTS შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №120/ნ ბრძანებასთან „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად - დაწესებულების მიერ ვებ გვერდზე განთავსებულია მხოლოდ მიმდინარე წლის კატალოგი, თუმცა დაწესებულების პერსონალის განმარტებით ის ექვემდებარება განახლებას საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების ან/და სიახლეების შემთხვევაში.
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. შემოსული ინფორმაცია ადრესირდება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ან/და შესაბამის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან. სამსახური, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გეგმავს შემდგომი რეაგირების/კორექტირების ღონისძიებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ სტუ-ის წესდება (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #133/ნ 09.09.2-13)
2. სტუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პოლიტიკა და სტრატეგია
3. სტუ-ის ოფიციალური ვებ-გვერდი <https://gtu.ge/>
4. სტუ-ის ოფიციალური გვერდები სოციალურ ქსელებში:
<https://www.instagram.com/gtu.edu.ge/>
<https://www.linkedin.com/school/gtu-edu>
<https://www.facebook.com/gtu.ge>
5. პროფესული პროგრამების კატალოგი
6. ხელშეკრულება ინტერნეტ მომსახურებების და დომენის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 05-03/05-2022

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროგრამის სახელწოდება	მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მე-4
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია სტუ აკადემიური საბჭოს მიერ, #2544 დადგენილება 12.08.2017 ცვლილება განხორციელდა სტუ აკადემიური საბჭოს მიერ, # 01-05-04/174 დადგენილება 26.11.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, მ. კოსტავას №77 მისამართი რომელზეც გეგმავს დაწესებულება პროგრამის განხორციელებას - თბილისი, კახეთის გზატკეცილი #36
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	24
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	-	-
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	-	მეტწილად შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	-	-
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	-	შეესაბამება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით -

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, მის საკუთრებაში არსებულ ფართზე (მისამართი: ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი N36) საგანმანათლებლო პროგრამის „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“ განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს:

A სასწავლო გარემო აუდიტორია #202 – აღჭურვილია კვოტის გათვალისწინებით (24 პროფესიული სტუდენტის, 12 მაგიდა/ორადგილიანი პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მაგიდა, პერსონალური კომპიუტერი), სადემონსტრაციო საშუალება-პროექტორი, დაფა.

B სასწავლო გარემო (#204, #207) – 12-12 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის (მაგიდა, კომპიუტერი). 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მაგიდა, პერსონალური კომპიუტერი), სადემონსტრაციო საშუალება-პროექტორი, დაფა.

აუდიტორიები აღჭურვილია ასევე საოფისე ავეჯით (ტუმბოები, კარადები). ვიზიტის ეტაპისთვის დაწესებულებას არ ჰქონდა სასწავლო-სამუშაო პროცესისთვის საკმარისი რაოდენობის სკამები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სკამების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები. ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, კონსოლიდირებული შესყიდვის ხელშეკრულების პირობები, რომელიც გამოცხადებული იყო სკამების შესყიდვისთვის, დაირღვა შექმნილი გლობალური გარემოებებიდან გამომდინარე. აღნიშნულის შესახებ დაწესებულებამ აცნობა (05.05.2022) შესყიდვების სააგენტოს და ითხოვა ელექტრონული ტენდერის წესით შესყიდვის განხორციელება.

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია შესყიდვა განხორციელებულიყო კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებს გარეთ (იხ. ასევე ინდიკატორის აღწერა 5.1.1. (1)). აღნიშნულის საფუძველზე, დაწესებულების მიერ გაფორმდა ხელშეკრულება (#05-03/164-2022), შპს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



„ნოვი სტილი ჯორჯია“-სთან, რომლის თანხმად 300 ც. სკამი (საერთო ღირებულებით 28 500 ლარი) მოწოდებული იქნებოდა არა უგვიანეს 2022 წლის 1 სექტემბრისა. აღნიშნული გარემოების გამო, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა არადადამაკმაყოფილებლად.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა მატერიალური რესურსის (სკამების) შეძენის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, სასაქონლო ზედნადები და მიღება-ჩაბარების აქტი (04.07.2022), რომელსაც ხელს აწერენ: სტუ-ის ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი (ა.ჭ.) და შპს „ნოვი სტილი ჯორჯია“-ს დირექტორი (მ.შ.), ასევე აუდიტორიაში განთავსებული სკამების ფოტოსურათები. წარმოდგენილი იქნა ასევე მიღება-ჩაბარების აქტი (#3055), რომელიც გაფორმებულია სტუ-ის ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის დეპარტამენტის ლოგისტიკის განყოფილების უფროსისა (ა.ჭ.) და უწყვეტი განათლების და კარიერული განვითარების დეპარტამენტს (ე.კ.) შორის, ხოლო დოკუმენტს ხელს აწერენ, ერთი მხრივ, ლოგისტიკის განყოფილების უფროსი (ა.ჭ.) და მეორე მხრივ მატერიალური პასუხისმგებელი პირი (გ.მ.). დოკუმენტით ვერ ხდება იდენტიფიცირება, კონკრეტულად რომელი პროგრამის განხორციელებისთვის ან ლოკაციისთვის არის განკუთვნილი სკამები (სულ 100 ერთეული, საერთო თანხით 8 800 ლ.). ამასთან, აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა, ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და პსდ-ების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის ღონისძიებების გეგმა, რომლის შესრულების პერიოდი შეადგენს 6 (ექვსი) თვეს. გეგმის ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს დაწესებულების მიერ, საქმიანობის უზრუნველყოფა შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით/სკამებით.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის:

სასწავლო გარემოს მოდელი C - ელექტროტექნიკოსის ლაბორატორია - განთავსებულია: მაღალი ძაბვის გამთიშველის კარადა, ავტომატური ამომრთველით 1ც; სპილენძის გამტარი სადენები; ერთსხივიანი ოსცილოგრაფი 20 MHz; მაღალი ძაბვის ინდიკატორი; მზომი იარაღების ნაკრები; დამხმარე ხელსაწყოები.

სასწავლო გარემოს მოდელი C1 - ქვესადგური

სასწავლო გარემოს მოდელი C2 მაღალი ძაბვის ეგზ/საჰაერო ხაზი

სასწავლო გარემოს მოდელი C3 - სამრეწველო ავტომატიზაციის ლაბორატორია - აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით - 6 მაგიდა/ორ ადგილიანი, 12 სკამი სიმაღლის ჰიდრავლიკური კორექტირებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით 1 მაგიდა/ორ ადგილიანი, 1 სკამი სიმაღლის ჰიდრავლიკური კორექტირებით, დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, კომპიუტერი (ლექტოპი) პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, კომპიუტერი (ლექტოპი) პროფესიული სტუდენტისთვის 12. პროგრამატორი; 84“ ლედ სენსორული ეკრანი; MPSR 203 14.0 სისიტემა; MPSR PA სამუშაო ადგილი; S1-DP: მართვის ნაკრები; TP700 სენსორული პანელი.

აუდიტორიები, ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნის შესაბამისად, აღჭურვილია ცეცხლმაქრებითა და პირველადი დახმარების ყუთებით.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული 6 კომპანია:

- ს/ს „თელასი“ (ქ. თბილისი, ვანის ქ.3);
- ს/ს „თბილხელსაწყო“ (ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი 24-ა);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შპს „გარდაბანის თბოსადგური“-ს (ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. 28);
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. 2);
- სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ (ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 19);
- შპს „სითბო“

მაგრამ დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ სს „თელასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება (#01-08-15/295-2018-2 (02.04.2018), რომლის თანახმად კომპანია აცხადებს მზაობას, ყოველწლიურად 3 თვით მიიღოს სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსის“ 24 პროფესიული სტუდენტი. ხელშეკრულებით განსაზღვრულია ასევე პარტნიორი კომპანიის მიერ პრაქტიკის ხელმძღვანელის გამყოფა, უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი ჩატარება და პრაქტიკის დროს განხორციელებული აქტივობების დოკუმენტირება. ანალოგიური ვალდებულებები ვრცელდება სტუ-ზეც, რომელიც ასევე იღებს ვალდებულებას სტუდენტებისთვის შრომის უსაფრთხოების და ელექტროტექნოლოგიურ დანადგარებთან მუშაობის წესების გაცნობის, დაწესებულებიდან პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოყოფის შესახებ. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, სხვა კომპანიებთან თანამშრომლობას ამ ეტაპისთვის არ ახორციელებენ, რადგან სს „თელასი“ სრულად ფარავს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შინაარსს და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული კვოტის ფარგლებში პრაქტიკის კომპონენტის სრულყოფილად განხორციელებას.

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან მიმართებით გაიცა შემდეგი შინაარსის რეკომენდაცია - გადაიხედოს დოკუმენტი და მისი მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს მინიმუმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით. ამასთან დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს განსახორციელებელი საათების/მოდულების/სწავლის შედეგები, მათი განხორციელების/მიღწევისთვის საჭირო რესურსები.

ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რომ პროგრამა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, არ იყო უზრუნველყოფილი მის განსახორციელებლად საჭირო რესურსით (შესაბამისი რაოდენობის სკამებით), პირველადი შეფასებისას, ინდიკატორი შეფასდა არა დამაკმაყოფილებლად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორის შეფასდა როგორც „მეტწილი შესაბამისობა“.

შესაბამისობის რეკომენდაცია:

დაწესებულებამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ახალ ფართში (ადგილზე), უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსი (სკამები). მატერიალური რესურსის ფლობის (გადაცემის) დოკუმენტაციაში, მითითებული იქნეს პროგრამის განხორციელების კონკრეტული ლოკაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა დოკუმენტაცია: განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, საათობრივი დატვირთვის/სამუშაო საათების აღრიცხვის ფურცლები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პერსონალის პირადი დოკუმენტების (CV, კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის და სამუშაო/სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, რიგ განმახორციელებელთან ხელშეკრულება, მათ შორის წინმსწრები ხელშეკრულება) ელექტრონული ასლები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პირადი საქმეები ინახება ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში. დოკუმენტაციის კონფიდენციალობიდან გამომდინარე მათი გატანა არ ხდება. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იყო პროგრამის განმახორციელებელი პირების ნუსხა, კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მითითებით. წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები არ მოიცავდა პასუხისმგებელი პირის მიერ დამოწმების შტამს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია საქმისწარმოებასთან დაკავშირებით (იხ. ინდიკატორი 5.2.2.(1)).

„პროფესიული პროგრამის „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას შერჩეული ჰყავს 26 პირი, აქედან: 6 ზოგადი, ხოლო 20 - დარგობრივი მოდულებისთვის. პროგრამის ყველა მოდულს ჰყავს ერთზე მეტი განმახორციელებელი პირი. განმახორციელებელი პირების შესახებ მონაცემები, შერჩევითობის წესით, შემოწმებული იქნა ასევე „ემისის“ ბაზაში.

წარმოდგენილი და შესწავლილი დოკუმენტაციის, განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების თანახმად, დასტურდება პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია, ხოლო მათი რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პერსონალს ათასწლეულის გამოწვევის პროექტის ფარგლებში ტრენინგი აქვთ გავლილი როგორც ადგილობრივად, ისე გერმანიაში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-შეფასების მეთოდოლოგიაში. ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება, სადაც ჩართული იყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ შინაარსს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საფუძველზე დასტურდება, პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობა პროგრამის ადმინისტრირებისა და საორგანიზაციო საკითხებში, ესწრება მეცადინეობებს, ჩართულია შეფასების ისტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციის, ვერიფიკაციის პროცესებში ინტერსთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო ასევე ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სტუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/163 (08.11.2021), საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტაუსის შესახებ, რომელიც ვრცელდება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებზე და არ მოიცავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. შესაბამისად, ექსპერტების მიერ ვერ მოხერხდა პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციის, ან შესრულებული ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტირებულ მოთხოვნებთან შედარება. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი, ზემოთ აღნიშნულ პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად, ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარადგინოს პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, ხოლო ამავე დადგენილების მე-11 პუნქტით განსაზღვრულია, რომ აკრედიტებული პროგრამის ხელმძღვანელობა შეიძლება ჩაითვალოს აკადემურ დატვირთვად (კვირაში 2 საათის ოდენობით). პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, პროფესიული განათლების პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებიც ფაქტობრივად ანალოგიურია და მათ აღნიშნული მოთხოვნების შესრულება უწევთ.

რეკომენდაცია:

დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობის შემუშავება და პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნების ასახვა.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით ისე მატერიალური სახით ბიბლიოთეკა და დარგობრივ აუდიტორიებში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტის ფარგლებში სემოწმდა ბიბლიოთეკა, რომლის დროსაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი გადამოწმდა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. FESTO-ს სასწავლო რესურსი, განმახორციელებელი პირების მიერ თარგმნილია და განთავსებულია ბიბლიოთეკაში CD-ის სახით. ელ რესურსი ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებ გერდზე. სასწავლო რესურსით სარგებლობის/გამოყენების მტკიცებულებები არ ყოფილა წარმოდგენილი, რადგან სასწავლო ფართში ბიბლიოთეკა ფუნქციონირებას დაიწყებს დაწესებულებისთვის საგანმანათლებლო პროგრამის ახალ ფართზე განხორციელების უფლების მინიჭების შემდეგ.

6. დაწესებულებას ასეთი პირები პროგრამაზე არ ჰყავს, შესაბამისად აღნიშნული მიმართულებით სერვისის მიწოდების პრაქტიკა არ აქვს, თუმცა დაწესებულების რეგულაციების თანახმად, სსსმ პირებს ექნებათ წვდომის შესაძლებლობა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომელთა ადაპტირებაც მოხდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად („სტუ-ში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, მუხლი 15. „სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



რეკომენდაცია:

სასურველია დაწესებულებამ პროცედურაში მოახდინოს შშმ და სსსმ პირთა კონკრეტულ საჭიროებებზე შესაბამისი სერვისების იდენტიფიცირება, რაც დაწესებულების მხრიდან იქნება შეთავაზებული (მაგ. მხედველობის დაქვეითების მქონე პირთათვის აუდიოტექსტის, ან გაზრდილი შრიფტით შეთავაზება და ა.შ.).

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.** ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისა და კონტროლის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს მექანიზმები („სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისათვის პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი“), რომლებიც უზრუნველყოფს სტუ-ის დასახული მიზნების მიღწევისათვის რესურსების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას.

ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სახელმწიფო დაფინანსება (ვაუჩერული და პროგრამული). პროგრამის ძირითად ხარჯებს შეადგენს პერსონალის ანაზღაურება. საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები/სახარჯი მასალა, სხვა ოპერაციული ხარჯები. ბიუჯეტით, საგანმანათლებლო პროგრამის რენტეხელობის ზღვარია - 6 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“ დანართები;
2. დაწესებულების ვებ-გვერდი;
3. სასწავლო რესურსის/სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების აქტი;
4. პრაქტიკის ობიექტებთან სს „თელასი“ გაფორმებული ხელშეკრულება #01-08-15/295-2018-2 (02.04.2018);
5. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ააიპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯთან (#01-8-17/44-2019-4);
6. პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
7. პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
8. სტუ-ში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
9. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
10. დაწესებულების და საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
11. სსიპ სტუ-ის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისათვის პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

12. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული სასწავლო პროგრამის მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
13. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან/ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
14. პრაქტიკის ობიექტების ონლაინ დათვალიერებით და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედეგები.
15. მატერიალური რესურსის მიღების/შეძენის დოკუმენტები (სასაქონლო ზედნადები ელ- 0676520483; მიღება ჩაბარების აქტები)
16. სასწავლო აუდიტორიების ფოტოები

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.** ამას მოწმობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა წინაპირობების გათვალისწინებით, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით (კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პსდ-ს მოთხოვნების თანახმად შემუშავებული აქვს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 49 კვირა, ხოლო არაქართულენოვანი კონტიგენტისთვის - 69.

2. **დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.** რისთვისაც მას აქვს ისგ-ს შემუშავების წესი, რომლის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტის ან/და კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით, უზრუნველყოფს მის საჭიროებაზე მორგებულ ისგ-ს შემუშავებას. პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები ითვალისწინებს და ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების დაცვაზე.

შემოწმებისა და პსდ-ს პერსონალთან გასაუბრებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას ასეთი საჭიროება არ დამდგარა, თუმცა გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი იცნობენ შიდა რეგულაციებს, პსდ მხარდაჭერის მექანიზმებს და ინკულზიური განათლების თავისებურებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იყო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოდულების/სწავლის შედეგების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობის სქემა, რომლის შემუშავება და რეალიზაცია განაპირობა COVID-19-ის პანდემიით შექმნილმა გარემოებებმა.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.** სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები - კომპანია FESTO-ს სიმულატორები, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სქემების/ტექნიკური ნახაზების ჩვენება-განხილვა, ჯგუფური სამუშაოს შესრულება, პრაქტიკული შემთხვევების და კრიტიკული შემთხვევების განხილვა, პროექტის შესრულება და სხვ. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შერჩეულია დარგში ლიდერი კომპანია, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ტექნოლოგიებით.
4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები,** ამ მიზნით სტუ-ის რეგულაცია ითვალისწინებს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნეს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის მართვის წესი და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები ითვალისწინებს როგორც შშმ, ისე სსსმ პროფესიულ სტუდენტები უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისებით, როგორცაა მობილობის/სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ისგ-ს შემუშავების შეთავაზებით, კონსულტაციების ორგანიზება, ადაპტირებული სასწავლო რესურსის შემუშავება და ა.შ.

დაწესებულების პერსონალის განმარტებით საგანმანათლებლო პროგრამაზე აქამდე აღნიშნული სერვისების საჭიროება არ დამდგარა. ექსპერტების მიერ, ვიზიტის დროს, შესწავლილი რეგლაციებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე, დასტურდება, რომ დაწესებულებას აქვს ის რესურსი და პოტენციალი, რომ უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მოთხოვნებზე/საჭიროებების სასწავლო პროცესში გათვალისწინება (იხ. ასევე 2.4.1.(2) ინდიკატორი) .

5. **დაწესებულება თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან,** რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით (#01-08-15/295-2018-2, 02.04.2018). დაწესებულებასა და სს „თელას“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მისაღები სტუდენტების რაოდენობას, მათი უსაფრთხოების საკითხების გაცნობა-სწავლებას, პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას, მხარეების უფლება-მოვლევებსა და პასუხისმგებლობებს. ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია ხელშეკრულების ვადასთან დაკავშირებით (იხ. 2.2.1. (1) ინდიკატორი) და ასევე დაკონკრეტდეს პროფესიული სტუდენტების შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, საკანონმდებლო და ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო გარემო მოწყობილია თანამედროვე ტექნოლოგიების, ლიდერი კომპანიის FESTO მიერ წარმოებული სიმულატორებით. აღჭურვილობას თან ახლავს ტექნიკური დოკუმენტაცია, ინსტრუქციები, პრაქტიკული სავარჯიშოები, შესრულების ინსტრუქციებითა და მეთოდოლოგიით, სადენები მოწყობილია კაბელ-არხებში. თუმცა დარგობრივ კაბინეტებში სრულყოფილად არაა წარმოდგენილი უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია, ასევე დარგობრივ კაბინეტებში არაა ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ფურცლები/ჟურნალები. ჩარჩო დოკუმენტისა და თავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილ C აღწერაში, განსაკუთრებულ უსაფრთხოების მოთხოვნებში ცეცხლმაქრსა და პირველადი აფთიაქის ყუთთან ერთად აქცენტირებულია დამიწების ქსელი. შესაბამისად საკანონმდებლო მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დამიწების ქსელის უსაფრთხოების ყოველწლიური ექსპერტიზა/მონიტორინგი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით „18 წლამდე ასაკის პირისთვის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ (#01-126/ნ, 30.11.2020 წ.) მოთხოვნათა გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების ტიპი განეკუთვნება მძიმე სამუშაოს, სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, საწარმოს გარდა შესრულებული საქმიანობა, დავალებების ხასიათიდან და პირობების გათვალისწინებით, რაც სავარაუდოდ საფრთხეს არ უქმნის პირს, განიხილება მსუბუქ სამუშაოდ, თუმცა ამავდროულად ბრძანების თანახმად, მიუხედავად ამისა, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულება უნდა მართავდეს საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად რისკებს და ახორციელებს მათ პერიოდულ გადახედვას.

რეკომენდაცია:

სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით რისკების მართვა-განახლება, მათ შორის დამიწების ქსელის უსაფრთხოების ყოველწლიური ექსპერტიზა/მონიტორინგი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მაღალი ძაბვის ექვეტრიკოსი“ და სასწავლო გეგმები;
2. პრაქტიკის ობიექტებთან სს „თელასი“ გაფორმებული ხელშეკრულება #01-08-15/295-2018-2 (02.04.2018);
3. სტუ-ში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
4. საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციურად განხორციელების სქემა;
5. ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის დეპარტამენტის დებულება (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს და სენატის 2021 წ. 30 ივნისის ერთობლივი დადგენილებით #01-05-17/06);
6. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანება MES 6 20 0001061803 „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების შესახებ“ (03/11/2020);
7. პერსონალთან გასაუბრებისა და დაწესებულების ფაქტობრივი დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. ამ მიზნით „სტუ-ში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-თ განსაზღვრულია შეფასების მექანიზმი (მუხლი 5. „ მიღწევების შეფასება“ და მუხლი 7 „სტუდენტის მიერ კრედიტის დაგროვება“). მუხლებში აღწერილი დებულებები ზოგადი შინაარსისაა და არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შედეგების გამოქვეყნება/სტუდენტების ინფორმირება, გასაჩივრება.

სასწავლო პროცესის მართვის წესით განსაზღვრულია შეფასების უარყოფითი შედეგის დადგომისას განმეორებით გასვლის უფლება, რომლის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის „საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვამდე“ პირს შეუძლია რამდენჯერმე გაიაროს მოდული. მაშინ როცა პროცედურით დიფერენცირებულია დადასტურების სხვადასხვა შემთხვევები: შესაძლებელია დადასტურდეს მხოლოდ სწავლის შედეგი ან შედეგები ან მოდული მთლიანად. რაც ასევე წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტებითა და ფაქტობრივი მდგომარეობითაც დასტურდება. დებულებით განსაზღვრული არაა სწავლის შედეგის/შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევები და მასთან დაკავშირებული პროცედურები.

პროგრამის ხელმძღვანელისა და დაწესებულების პერსონალის განმარტებით, პროფესიული სტუდენტების ინფორმირება ხდება, ფაკულტეტის დეკანატის მიერ, შიდა პორტალის მეშვეობით. ელ. ფოსტების ბაზის გამოყენებით სტუდენტებს ეგზავნებათ შესაბამისი ინფორმაცია, ასევე შექმნილია უნივერსიტეტის მობილური აპლიკაციები GTU App (IOS-სა და Android-ზე), რომელთა საშუალებით სტუდენტები იღებენ როგორც პირდაპირ შეტყობინებებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან და ლექტორებისგან ისე სიახალებს, შეუძლიათ ნახონ ვებ-გვერდზე განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მათ შორის აკადემიური მოსწრების შესახებ. (იხ. ასევე 5.2.1 (6) ინდიკატორი).

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, მიზნით, რამდენად არის შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილ ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ამასთან დაწესებულება შეფასებისას იყენებს ასევე FESTOS დიდაქტიკურ მასალას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტები მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არა ობიექტური შეფასების ფაქტი, თუმცა გაცემულია რამდენიმე რეკომენდაცია.

რეკომენდაცია:

სასურველია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, დაკონკრეტდეს განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ დებულებები. ასევე წესში გაიწეროს გასაჩივრების, შედეგების გამოქვეყნება-ინფორმირებისა და შეფასების პროცესის სხვა ადმინისტრაციული პროცესები.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის წესი, რომლის თანახმად პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, ფაკულტეტის დეკანატისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ადგენს გეგმას, ისვე წარადგენს ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს. პროცედურით გაწერილია ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირების ფუნქციები. დაწესებულება პროცესის დოკუმენტირებისა და ასევე რისკების შეფასებისთვის იყენებს სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდებულ ფორმებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები. პსდ-ს მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის ანგარიშის შედეგებით, უშუალოდ შეფასების პროცესთან მიმართებით შენიშვნები, რეკომენდაციები არაა დაფიქსირებული. გარკვეული შენიშვნებია გამოთქმული შეფასების ინსტრუმენტის შესრულებაში ისტრუქციებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ვერიფიკაციის მასალებსა და შეფასების ინსტრუმენტებს და გაიცა შემდეგი შინაარსის რეკომენდაცია:

შეფასების ინსტრუმენტების შეფასებისას, უზრუნველყოფილი იქნეს ჩანაწერები, რომლითაც იდენტიფიცირდება სტუდენტის მიერ სწორად ან არასწორად შესრულებული დავალება.

3. დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, ფაკულტეტზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით. შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად.
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. შეფასების სისტემა ეფუძნება არადიფერენცირებულ შეფასების სისტემას და სწავლის შედეგის დადასტურებისთვის პირმა უნდა დაასტუროს ყველა შესრულების კრიტერიუმი, ხოლო მოდულის შემთხვევაში, მოდულით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი. შეფასების შედეგების მიწოდება ხდება როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალურად, დაწესებულების სპეციალური პორტალით (vici.ge). ჯგუში შესრულებული პრაქტიკული დავალებები, რომელსაც ასევე აქვს განმავითარებელი შეფასების დატვირთვა. იხ. ასევე ინდიკატორების აღწერა 2.4.2 (1), 2.4.2 (2) და 5.2.1 (6).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სტუ-ის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესი
2. სტუ-ის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების შიდა მონიტორინგის კომისიის სხდომის ოქმები (#1(1) 17.02.2022; 1(2) 18.02.2022; 1(3) 09.03.2022; #2(1) 26.04.2022; #2(2) 27.04.2022; #2(3) 29.04.2022; #3 25.05.2022)
3. ფაკულტეტის სხდომის ოქმები ვერიფიკაციის ჯგუფების შექმნასთან დაკავშირებით (27.10.2021; 18.11.2021;)
4. სტუ-ში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
5. შეფასების ფაქტობრივი გარემოებისა და პროგრამის განამხორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. შესაბამისობის/გაუმჯობესების გეგმა

დანართი 3. მიღება-ჩაბარების აქტი (04.07.2022) ავეჯის მიღების შესახებ (ხელმოწერი მხარეები: სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი და შპს „ნოვი სტილი ჯორჯია“)

დანართი 4. მიღება-ჩაბარების აქტი (3055) მატერიალური ფასეულობის მიღების შესახებ (ხელმოწერი მხარეები: სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მართვის სრომის უსაფრთხოებისა და ლოგისტიკის დეპარტამენტი და უწყვეტი განათლების და კარიერული განვითარების დეპარტამენტი)

18.07.2022

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

